დილა

„აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ქართველთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

572
1950

№ 3 მარტი 1950

დილა

№ 3

საქართველოს ალკკ ცენტრალური
კომიტეტის ყოველთვიური საბავშვო
ჟურნალი მცირეწლოვანთათვის

მარტი
1950

ДИЛА
ежемесячный детский журнал
ЦК ЛКСМ ГРУЗИИ

„აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ქართველთ მხარევ,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარე!"

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენც წავალთ!

ფანჯარასთან მოირბინე,
მოდი, გოგი, რა გაჩვენო!
ჩვენს სახლის წინ მოწყობილი
უბანია საარჩევნო.

მოდის, მოდის, ყველასათვის
სანატრელი არჩევნები.
შენ გგონია, პატარებიც
იმ დღეს სახლში გავჩერდებით?!

წავალთ, ზეიმს დავესწრებით,
წამოსვლას არ ავიჩქარებთ,
ვიდრე ჩვენი უფროსები
დეპუტატებს აირჩევდნენ

იქ ოთახი დაგვიხვდება,
მორთული ნაირფერად.
ჩვენი გული, ნორჩი გული
სიხარულით აივსება.

ვითამაშებთ, ლექსებს ვიტყვით,
ისე როდი გავჩერდებით!
მოდის, მოდის, ყველასათვის
სანატრელი არჩევნები.

თინათინ ქვირიკაძე

4828



ეროვნული ბიბლიოთეკა

ი. ბ. სტალინი და ვ. მ. მოლოტოვი ბავშვებთან

ვ. ეფანოვის ნახატის ფოტორეპროდუქცია

გიორგი შაგბერაშვილი

ნახატი ალ. ვეფხვაძისა

დედა

თინას სწორედ დღეს შეუსრულდა შვიდი წელი.

შემოდგომის ერთ დილას დედამ ხელი მოჰკიდა თავის გოგონას და სკოლაში წაიყვანა. თინას ოცნება შეუსრულდა. ის ბეჯითი მოწაფე გახდა. გაკვეთილს დროზე ამზადებდა. დანარჩენ დროს თამაშში და დიდედა კატოსთან ტიტინში ატარებდა.

დედა სკოლიდან გვიან ბრუნდებოდა, ისადილებდა, თინას გაკვეთილებს გამოჰკითხავდა, ლოგინში ჩააწვენდა და საწერ მაგიდას მიუჯდებოდა.

„რამდენს შრომობს, დედიკო, რამდენს“... ფიქრობდა თინა, ძილს ებრძოდა, ოდნავ თვალებმოხუჭული გასცქეროდა დედას. დედა მოწაფეების რვეულებს ფურცლავდა, ყურადღებით კითხულობდა და შეცდომებს ასწორებდა.

დილით თინა თვალს რომ გააღელდა, დედა უკვე ფეხზე იყო. მისთვის გემრიელი საუზმე მზად ჰქონდა.

— დედიკო, წუხელ არ გეძინა? — შეეკითხებოდა თინა.

დედა გაიცინებდა:

— როგორ არ მეძინა, შვილო... განა შეიძლება, ადამიანმა უძილოდ გაძლოს?!

თინა დედასთან ერთად ისაუზმებდა და სკოლისაკენ გასწევდა.

ასე გადიოდა დღეები, კვირეები, თვეები.

თინა საუკეთესო მოწაფე დადგა.

ერთხელ დედა აღელვებული დაბრუნდა სკოლიდან. მაშინვე ხელპირი დაიბანა და სასწრაფოდ მიუჯდა სასადილო მაგიდას.

დიდედა გაკვირვებული შესცქეროდა შვილის შეკრულ შუბლს და სიტყვის თქმა ვერ მოეხერხებინა. თინაც გაჩუმებული იჯდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რატომ არ დამელაპარაკა დედა, რატომ ჩემი დღიური არ გასინჯა, დღეს ხომ ხუთი მივიღე წერაში?“ ფიქრობდა ბავშვი.

— რა ამბავია, შვილო, ასე რამ აგაფორიაქა, ხომ არაფერია ჩვენს თავს? — შეეკითხა ბოლოს დიდედა კატო.

— პირიქით, — ღიმილით უპასუხა დედამ. — ძალიან გახარებული და ბედნიერი ვარ, დეპუტატობის კანდიდატად დამასახელეს!

„ნეტავ რა არის დეპუტატი?“ — ფიქრობდა თინა და ხან გახარებულ დიდედას შეხედავდა, ხან ჩაფიქრებულ დედას.

— ამ საღამოს საარჩევნო კრებაზე მიმიწვიეს... მაგვიანდება, ახლავე უნდა წავიდე! — თქვა დედამ, სწრაფად წამოდგა, თინას შუბლზე აკოცა და ოთახიდან გავიდა.

დიდედა კატომ და თინამ სიტყვის თქმაც ვერ მოასწრეს, რომ ოთახში უცნობი კაცი შემოვიდა და დიდედას ზრდილობიანად სთხოვა: რაიონის კლუბში ამომრჩეველთა კრებაზე წამობრძანდითო.

დიდედამ თინას ხელი მოჰკიდა და ალერსით უთხრა:

— შვილო, ახლა შინ რაღა გამაჩერებს; წამოდი, ჩემი თვალით უნდა ვუყურო ჩემი შვილის ბედნიერებას!

დიდედა და შვილიშვილი დათოვლილ ქუჩაში ფრთხილად მიაბიჯებდნენ. „მე რომ პატარა ვარ... ვაი თუ არ შემიშვან კლუბში“, — ფიქრობდა თინა.

კლუბის ეზო ხალხით გავსებულიყო. მალე დარბაზში შევიდნენ. დასხდნენ თუ არა, ფარდაც გაიხსნა.

სცენაზე, წითელ მაუდგადაფარებულ მაგიდის ირგვლივ მსხდომთა შორის თინამ საყვარელი დედაც დაინახა. დედას სახე გაფითრებოდა, ღელავდა. ღელავდა თინაც. იგი შესცქეროდა სცენის სილრმეში აღმართულ დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის სურათებს და გულისყურით უსმენდა ტრიბუნაზე მდგომ მოხუცს. იგი თითქოს თინას გასაგონად, ხმამაღლა, მგზნებარედ იმეორებდა:

— დიახ, ამხანაგი ნინო დიდი სტალინის საქმის ერთგული, ხალხის გულწრფელი მსახურია. ის ღირსია, რომ არჩეული იქნას დეპუტატად!

ხალხი ტაშს უკრავდა და თავდახრილ დედას ღიმილით გაჰყურებდა.

„დეპუტატი დიდი სტალინის ერთგული, ხალხის საყვარელი ადამიანი ყოფილა!“ იმეორებდა გულში თინა.

აი, ტრიბუნისაკენ პატარა, წითელყელსახვევიანი გოგონა გაემართა. ტრიბუნიდან მხოლოდ მისი სახე გამოჩნდა. გოგონამ მღელვარე ხმით მიმართა თინას დედას:

ძვირფასო მასწავლებელო... ძვირფასო აღმზრდელო.. თქვენ ღირსეული ადამიანი ბრძანდებით, თქვენ ყველა ჩვენთაგანის დედა ხართ!..

დანარჩენი სიტყვები აღარ გაუგონია თინას. დანარჩენს მისი გული ამბობდა. იგი ოდნავი ჩურჩულით იმეორებდა იმ ლექსს, რომელსაც ტრიბუნაზე მდგარი გოგონა წარმოთქვამდა.

თინას სიხარულით აღსავსე გული ჩიტივით უფრთქიალებდა. ხან ცრემლმორეულ დიდედას შეჰყურებდა, ხან თავის ბედნიერ დედას.

არც თინა ყოფილა არასდროს ასე ბედნიერი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ ჩაჩავა

ზეინკალი

ძმა მყავს კომკავშირელი,
ხელოსანი ბიჭია.
თუ რა მარჯვე ბიჭია
უკვე ყველგან იციან.
სახელოსნო სკოლაში
უკვე მუშა კაცია;
გამოარჩევ ტოლებში,
ისე კოხტად აცვია.
სულ გულდაგული აკეთებს
ნავთქურას და საკეტებს.
ჩვენს მეზობლად რომ არის
პაწაწინა ომარი,
თურმე იმის ბებიას
ვარცლი გაჰფუჭებია;
მოუტანეს მამიას,
ჩემს ხელოსან ძამიას,
თითქოს ხელით დახატა—
სულ ახალი გახადა.

უხარია ბებიას—
ვარცლი გამრთელებია.
შინაურს და გარეშეს:
ვაჟას, ოთარს მათიკოს
შეუკეთა ჭურჭელი
გატეხილი რაც იყო.
დაეძებენ მამიას
ჩემს ხელოსან ძამიას.
მარტო კვირას სცალია,
სხვა დროს სწავლობს მამია.
მაღე სწავლას მორჩება,
აუხდება ოცნება:
ქარხანაში გადავა,
ზეინკალი გახდება.
ისეთ სახელს გაითქვამს,
ყველას გაგეხარდებათ.

ნახატები **გრ. ჩირინაშვილისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდიონ ქორქია

წამალი

— არ შეიძლება, ძია, უფრო ადრე გააკეთოთ წამალი? ძლიერ ავადაა დედაჩემი, მეჩქარება. თუ მატარებელს ვერ მივუსწარი, ფეხით უნდა წავიდე სოფელში.

— არ შეიძლება, წამლის დამზადებას თავისი დრო აქვს. მოცდა დაგჭირდება.— უპასუხა აფთიაქის გამგემ.

სანდრომ ერთხანს აფთიაქის წინ იტრიალა, შემდეგ ქალაქის ბაღისაკენ შეუხვია. შარშან დედამ რომ ჩამოიყვანა, ქალაქის ბაღის წინ მინაში ჩასმული სურათები აჩვენა და უთხრა: ამას სტენდი ჰქვია, აქ ძველი და ახალი კოლხიდაა გამოფენილიო. ახლაც ამ სურათებს დაუწყო თვალიერება სანდრომ.

ამ სურათებში ბევრი რამ იყო ნაცნობი; აი, ევკალიპტების ტევრი! ნაჭაობარში რომ არის გაშენებული, სანდროს სოფლის ბოლოს. აი, მანდარინის პლანტაცია! აქაც ჭაობი ყოფილა. ამოაშრეს კოლხიდელებმა ჭაობი და მშვენიერი ბაღებ[illegible] აი, ყვითელი ხურმის ხეები! რა ღონიერი ხეებია. სანდროს ეზოშიც დგას რამდენიმე ძირი. მამამ დარგო ომში წასვლის წინ. ამიტომ უყვარს სანდროს ის ხეები. მამა აღარ ჰყავს სანდროს და ახლა თვითონ უვლის... ერთ სურათზე გრძელი, ფართო გზა მოჩანს. გზის ორთავე მხარეს ჭანდრები და კვიპაროსები დაურგავთ. გზაზე მანქანა მოჰქრის. სურათს აწერია: „აქ წინათ კამეჩები ეფლობოდნენ“.

სტენდი რომ დაათვალიერა, სანდრო მოედანზე გავიდა. მოედნის შუაგულში ბელადის მაღალი მონუმენტი იდგა. თეთრი ქვისაგან გამოთლილი ბელადის სახე თითქოს მამასავით დაჰყურებდა სანდროს. დიდხანს იდგა სანდრო მონუმენტთან და აღტაცებით შესცქეროდა მას.

მზე გადაიხარა, სანდრომ საათს შეჰხედა და აფთიაქს მიაშურა. როცა წამალი მისცეს, აფთიაქის გამგემ ჰკითხა: სად ცხოვრობო.

— მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში,— მკვირცხლად უპასუხა სანდრომ.

— ჰოო,— ჩაფიქრდა ძია,— რამდენი წლის ხარ?

— თორმეტისა.

— აბა, გაიქეცი, არ დაგაგვიანდეს!

სანდრომ შუშა ხელში ჩაბღუჯა და კარისაკენ გაექანა. აფთიაქის გამგემ თავი გააქნია.

— საწყალი ბიჭი, მიუსწრებს?!

*
* *

ვერ მიუსწრო სანდრომ მატარებელს. სწორედ მაშინ გავიდა ბაქანზე, როცა უკანასკნელი ვაგონი ბაქანს შორდებოდა.

რა ქნას, იცადოს ხვალამდე? როგორ შეიძლება ლოდინი, როცა დედა წამალს ელის!

სანდრომ გადასწყვიტა ფეხით წასულიყო. მის სოფლამდე ათიოდე კილომეტრია.

ჩქარა დაღამდება კიდეც, მაგრამ ეჭვიც არ შეჰპარვია სანდროს, შესძლებდა თუ არა დროზე მიეტანა წამალი. მის თვალწინ მხოლოდ ავადმყოფი დედა იდგა და საჭირო იყო ამ წამლის დროზე მიტანა. სანდრო მოტრიალდა და გაუდგა გზას.

შემოდგომის მიწურული იყო, ყანები აჩეხილი და მოსავალი დაბინავებული. შორს ტყე მოჩანდა.

გზა სწორედ ამ ტყეზე გადიოდა.

სწრაფად დაბინდდა. სანდრო სირბილით მიდიოდა. უნდოდა, რაც შეიძლება მეტი მანძილი გაევლო დაღამებამდე.

— მერე ვარსკვლავები გამოჩნდებიან, მთვარეც ამოვა,—ფიქრობდა სანდრო, მაგრამ არც ვარსკვლავები, არც მთვარე არ ჩანდნენ. ბნელი ღამე ჩამოწვა, ნელი ზღვაური ჰქროდა და ტყეს აშრიალებდა. სანდროს ესმოდა ხეების ათასნაირი ჩურჩული და შრიალი.

შორს, სადღაც, ტურამ დაიჩხავლა. ერთი ტურის ჩხავილს მეორე მოჰყვა და სანდროს მოეჩვენა, რომ მთელი ტყე ტურებით გაივსო.

გზის მეორე მხარეს ძაღლები აყეფდნენ. იცოდა სანდრომ იქ სოფელი იყო; ინატრა: ნეტავი ერთი ძაღლი მაინც ჩემთან იყოსო. ძაღლების ყეფამ ტურები დააფრთხო. ისევ სიჩუმე ჩამოდგა ტყეში.

რომელიღაც ფრინველმა თავზე გადაუარა სანდროს. ფრთების შხუილმა შეაკრთო. შეჩერდა. იქვე მეყანეების კარვები გაარჩია. გაეხარდა, მაგრამ სიხარული წამსვე შეეცვალა. გაახსენდა, მეყანეები რახანია წავიდნენ.

ამ კარვებს იქით გზა ტყისაკენ უხვევდა. ერთგან რაღაც უზარმაზარი აისვეტა სანდროს წინ. იმ უზარმაზარს ხელები აშვერილი ჰქონდა, თავი დაწეული, თითქოს სანდროსაკენ მოდიოდა. სანდრო განზე გახტა, ხეს ამოეფარა და წამსვე გაეცინა. მიხვდა, რომ ეს იყო გადატეხილი ხე, რომელსაც ორი ტოტიღა შერჩენოდა. ფუ! ხემაინც—გორ უნდა შემაშინოსო,—გაიფიქრა და თავი რომ გაემხნევებინა სიმღერა დაიწყო. უცებ ცეცხლივით მბზინავმა წერტილმა გაიელვა, „მგელი“ გააჟრჟოლა სანდროს და წამლის შუშა მკერდზე მიიკრა, თითქოს იმ მგელს შუშის წართმევა სურდა, მაგრამ მგელი არსად ჩანდა. ის წერტილიც უძრავად ანათებდა.

— დამპალი კუნძი ანათებს, როგორ ვერ მივხვდი?—გადასწყვიტა სანდრომ და ტყეში გზა განაგრძო.

მაგრამ გულს მაინც ბაგაბუგი გაჰქონდა და ისევ სიმღერა წამოიწყო. მღეროდა სანდრო და მირბოდა წინ. ერთი სიმღერა რომ მოათავა, მეორე დაიწყო. მეორე მოათავა, მესამე დაიწყო. როცა სიმღერები გამოელია, ახლებს თვითონვე იგონებდა. თითქოს ამ სიმღერით შიშს ივიწყებდა. სიმღერის ბოლო სიტყვები მკაფიოდ გაისმა ტყეში:

„დედა, დედა, ჩემო დედა,
ჩემო კარგო დედიკონა!“

ორი მსხვილი ცრემლი ჩამოუგორდა სანდროს. დედის სახე მოელანდა. დედა ულიმის და მოელის. სჯერა დედას, რომ შვილი მიუტანს წამალს.

— რამოდენა გზა გავიარე?—გაიფიქრა სანდრომ და სული მოითქვა. უცებ ტყიდან მკაფიოდ მოისმა:

— სანდრო! ა-უ-უ!

გაშეშდა. ვინ ეძახის?.. სანდროს არ სჯეროდა ავი სულების არსებობა, მაგრამ ადამიანი თუ არის, ვინ იქნება? რა იციან, რომ სანდრო აქ, ამ ბნელ ტყეში მარტო მიდის?

— სანდრო!—ისევ მოესმა სანდროს.

უპასუხოს? არა, არ უპასუხებს... ღამის სიჩუმეში აშკარად ესმოდა თავისი გულის ბაგაბუგი.

სანდრომ გზა განაგრძო. მიდის გამალებით. ხან თავისი, ხან ბოხი ხმით ლაპარაკობს, ვითომ სანდრო მარტო კი არ არის,—თანამგზავრიც ჰყავს. ხოლო ორი კაცი ძალაა, რომელიც თავსაც დაიცავს და მტერსაც დააშინებს.

უცებ ღამის სიჩუმეში თოფმა იგრიალა. სანდრო შეკრთა, აშკარაა ვიღაც კაცია შორიახლო. ჩქარა თოფის ხმას ადამიანის ძახილიც მოჰყვა:

— სანდრო! — უ-უ-უ!

— ნაცნობი ხმაა,—გაიფიქრა სანდრომ. სიხარულისაგან აცახცახდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაიყვირა: - აქა ვარ! უ-უ-უ!

— არ შეგეშინდეს! მე ვარ, ამბაკო! — მოესმა სანდროს.

— ამბაკო ბიძიაა, ჩვენი მეზობელი! — წამოიძახა სანდრომ და წინ გაექანა.

მალე, ღამის სიბნელეში მალალი, თოფიანი კაცი გამოჩნდა. კაცმა გულში ჩაიკრა ბავშვი.

— ხომ არ შეგეშინდა, ბიჭო? —

— ცოტა კი... მაგრამ სულ სიმღერით მოვდიოდი, — გაიცინა სანდრომ.

— ყოჩაღ, სანდრო! დედის ამაგს შვილი ვერასოდეს გადაიხდის, ბიძიკო ... ამბაკომ.

— ჰო, მაგრამ საიდან იცოდით, რომ მე ფეხით წამოვედი?

— აფთიაქის გამგემ დაურეკა ჩვენი ჯოლმეურნეობის თავმჯდომარეს: ბავშვი წამოვიდა, ეგებ მატარებელს ვერ მიასწროსო. თავმჯდომარემ კი მე დამავალა შეგხვედროდი, აბა, ვიჩქაროთ. წამალი მივუტანოთ დედაშენს!

წამალმა მიუსწრო დედას.

ნახატები **ვლ. ტოროტაძისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაზაფხული, გაზაფხული!

* * *

ვიშ, გაზაფხული
მოდის მორთული,
მოდის და მოაქვს
ცით სიხარული.
ამწვანდა მთები,
ტყე და მინდვრები
ათასფერად ჰყვავის
ბალი და ზერები.

ილია ჭავჭავაძე

* * *

გაზაფხულდა, ბუჩქის ძირას
თავს იწონებს ნაზი ია;
ჩვენ საღხენად კოკობ ეარდსაც
ეშხით გული გაულია.
ხავერდივით მწვანე ბალახს
აბიბინებს სიო ნაზად,
თითქოს, უნდა დაეფინოს
იმ ყვავილებს ფიანდაზად.
მაღლა მთიდან წმინდა წყარო
მოკრიალებს ჩუხჩუხითა,
თითქოს ნანას ეუბნება
ძუძუმწოვრებს ტკბილი ხმითა.
ხის ტოტებზე ჩიტუნები
ფრთხიალობენ, სრიალობენ,
იშენებენ მაღლით ბუდეს,
დაჰხარიან და გალობენ.
და მახლობლად იქვე თავი
მოუყრიათ ყმაწვილებსა,
იმღერიან და თან ჰკრეფენ
სხეულასხვა ფერ ყვავილებსა.

აკაკი წერეთელი

* * *

ოჰ, რა ლამაზად ილვიძებს
ბუნება მიძინებული
დაჩუმდით... ყური მიუგდეთ...
არ გესმით, გალობს ბულბული?!

გრიგოლ ორბელიანი

* * *

გაზაფხულია, ლანამა
მინა ტუტუნა წვიმამა,
ააბოკირა ჩიტები
ამ გაზაფხულის ლიღამა.
აყვავდა შაღა, მინდორი,
ბუნებამ ფერი იცვალა,
რაც ტანზე კონკები ეცვა,
ახალზე გამოიცვალა.
მწვანე ფოთლებით შეიმკო,
აყვავდა წითლად, ყვითლადა,
ცა, დედამიწა, ცხოველნი
შეზავდა ყველა ტკბილადა.

პაპა ფშაველა

* * *

თოვლი ატირდა ლანქერად,
ადიდდა ჩვენი წყლებია,
ბალღებს უხარის, ლარბიან,
პაპას გაუთბა ძვლებია.
სუყველა ხარობს და გალობს
ჩიტი იმზადებს ბუდესა,
სახნის-საკვლთსა სნვერავენ,
ბოსტანს უვლებენ ზღუდესა.

რაფიელ ერისთავი

* * *

დატრიალდა ბალში თოხი,
ჟეჟილი კი მწვანედ ლელავს,
ჭრელ-ქათიბა გაზაფხული
მზის სხივებით გადაჰფერავს!
მთა და ბარმა გაიღვიძა,
სიხარულით მიცემს გული,
მიყვარს, მიყვარს მშვენიერი
საქართველოს გაზაფხული!

ილარიონ ევდოკიმოვი

* * *

თუმერვალი ბერავდა,
მარტი კაბას კერავდა,
აპრილი გამაღებული
სახნის-საკვლთს ფერავდა.

ხალხური

* * *

მარტი გავიდა, გათბა ღელე,
დარები დადგა მზიანი,
მინა გაფუვდა, ბუჩქებში
გამოჩენილან იანი.
მოფრინდა გერიტი, შოშია,
ოფოფი საეარკლდიანი;
მწვანედ ბიბინებს მინდორი,
მოდი და ვედი ცვრიანი.
ლილაგრიან მერცხალმაც
გამოალვიძა სოფელი:
— გაზაფხულდაო!—დაგვძახის
პირველი მახარობელი.

ვიო მღვიმელი

* * *

თოვლი ლნება, თოვლი ლხვება,
პირს იბანენ მთები.
ლარი ლგება, ია ჩნდება,
ისმის სიმღერები.
— თაღლუკუნა მშვენიერო,
იავ გენაცვლები,
სად არიან სხვა ყვავილნი
შენი დობილები?
— მოვლენ, მოვლენ, ჩემო კარგო,
მოვლენ მაღე სხვებიც,
მახარობლად წამოვლენ
მე და ჩემი ლები.

ვიორგი ქუთაისელი

ოთარ ჩხეიძე

ნახატი პ. დათებაშვილისა

საათი

დილით, დაახლოვებით რვა საათზე, ჩემს ეზოში ხშირად გაიგონებთ ასეთ საუბარს:

— დილამშვიდობისა, პატივცემულო დეიდა ნატო!

— იდღეგრძელე, თეონი!

— ნეტავ ხომ არ მაგვიანდება სკოლაში?!

— არა მგონია! მოიცა, ახლავე საათს ვნახავ!

— უჰ, ნუ შეწუხდებით!..

— მოითმინე!..

კარი ფრთხილად გაიღება, დედაჩემი საათს შეხედავს, გაბრუნდება და მოისმის დამამშვიდებელი სიტყვები:

— არ გაგვიანდება! სწორედ კარგი დროა, ცხრის ხუთი წუთია!

— გმადლობთ, დეიდა ნატო.

— იხარე, თეონი!

ბოლო სიტყვები არც ესმის თეონას, უკვე შუკაში მირბის; სარკმლიდან ერთი წამით თვალს მოვკრავ აწითლებულ ლოყებს, მხრებზე აწეულ ნაწნავებს, წითელ ბაბთებს. მერე შუკიდან მესმის მკვირცხლი ნაბიჯების ხმა: „ბაკ-ბუკ, ბაკ-ბუკ, ბაკ-ბუკ...“ თითქოს საათის ხმას აჰყოლიაო. მისწყდება ნაბიჯის ხმაც ხოლო საათი კვლავ განაგრძობს: „ტაკ-ტუკ, ტაკ-ტუკ, ტაკ-ტუკ...“

ასე მეორდება ყოველ დილით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4828

მომესმის თუ არა თეონას ხმა, საათს შევხედავ. საათი უჩვენებს რვას, ან ცხრის ხუთ წუთს. მიკვირს, რა კარგი ალღო აქვს ამ პატარა გოგონას! ..

საერთოდ, ბევრი კარგი თვისება აქვს თეონას. შემდეგ ყველაფერზე გესაუბრებით. ხოლო ახლა მინდა ერთი პატარა შემთხვევა მოგახსენოთ

დიახ, საათზე ჩამოვარდა სიტყვა!..

იმ დილითაც მომესმა თეონას ხმა, ჩვეულებრივზე უფრო აჩქარებული და აღელვებული იყო. მყისვე საათს შევხედე,—გაჩერებულიყო საათი... იმ წამს წარმოვიდგინე, რომ დედაჩემი გამოემართება საათის გასაგებად, თეონაც გულისფანცქალით დაელოდება. დედა ნახავს გაჩერებულ საათს, დროს ვერ `გააგებინებს გოგონას. თეონა დაგვიანების შიშით კისრისტეხით გაიქცევა... რად უნდა შეწუხდეს ასეთი კარგი გოგონა?! ასე გავიფიქრე და საათი ავამუშავე. ისარი რვაზე დავაყენე.

ის იყო, დედაჩემმაც შემოაღო კარი, საათს მეხედა, გაბრუნდა და მომესმა:

— რვა საათია!

— გმადლობთ, პატივცემულო დეიდა ნატო!

— იხარე, თეონი!...

მერე, შუკიდან რამდენიმე წამს მესმოდა გაფაციცებული ნაბიჯების ხმა: „ბაკ-ბუკ, ბაკ-ბუკ, ბაკ-ბუკ...“ და საათიც ხმიანობდა თანმიყოლებით: „ტაკ-ტუკ, ტაკ-ტუკ, ტაკ-ტუკ..“

მჯეროდა, იმ დილითაც ადრე ჩამოიარა თეონამ.

მაგრამ, შუადღისას, თეონა ჩვენს აივანს რომ გაუსწორდა, დედაჩემმა ჰკითხა:

— თეონი, სკოლაში დროზე მიხვედი?

— დამაგვიანდა, პატივცემულო დეიდა ნატო...

— რას ამბობ?!

— დიახ, დამაგვიანდა!.. ამ დილით დედაჩემი უეცრად ავად გახდა, მივხედე, მოვუარე, ნათლია კატოც ვიხმე... ვგრძნობდი რომ მაგვიანდებოდა, მაგრამ დედას ხომ ვერ დავტოვებდი უპატრონოდ?

— საათი... თითქოს რვა იყო?

მე შევკრთი, რაღა დღეს გაჩერდა საათი?! მერიდებოდა დედაჩემის, მერიდებოდა პატარა გოგონასიც, თითქოს დიდი დანაშაული ჩამედინოს. ასე გასინჯეთ, საათისაც მერიდებოდა, — აქაო და ენა არა აქვსო, ყველაფერს საათს დააბრალებენ!

ეთერ-ქალი არჩევნებზე

ირიჟრაჟა. ბრწყინავს ზეცა
კრიალა და მტრედისფერი...
მოიკაზმა ეთერ ქალი
და ტკბილი ხმით ასე მღერის:

— ვიშ, რა კარგი დღე გათენდა,
წამოდექი მამაჩემო,
ქუჩას ჰშვენის სიხარული
და ზეიმი საარჩევნო.

პატარა ვარ, მაგრამ მეც მსურს
არჩევნებში მქონდეს წილი,
თქვენთან ერთად მეც ვხარობდე,
მეც ვიღხენდე ფრთაგაშლილი!

* * *

ეთერ-ქალი არჩევნებზე
აღტაცებით შეხვდა ყველას
და ხმის ნაცვლად მან ლექსები
სიყვარულით უძღვნა ბედს.

არნო ონალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ე ნ ჯ ი

ანდრო ლომიძე

ნახატი ბ. გორგაძისა

ნოდარის მამას ფეხი სტკიოდა, კოჭლობდა. სამკურნალოდ მენჯს გაემგზავრა. მენჯიდან სრულიად ჯანმრთელი დაბრუნდა. ნოდარი სიხარულისაგან შეხტა, ყოჩაღად მომავალი მამა რომ დაინახა, და ჰკითხა:

— ფეხი ვინ მოგირჩინა?

— მენჯის წყალმა!

— სად არის მენჯი?

— სადგურ ცხაკაიასთან ახლოს არის, შვილო.

— კარგი წყალია?

— კარგი, შესანიშნავი!

— ვინ აღმოაჩინა?

— ნოდარის მამამ მუხლებზე დაისვა შვილი და უამბო:

„დიდი ხნის წინათ, სოფელ მენჯში ცხოვრობდა შენოდენა ბიჭი; მწყემსი იყო. ერთხელ ბიჭუნა ხიდან ჩამოვარდა და ფეხი დაიშავა. საწყალი ბიჭი ძლივს დადიოდა. საქონელს რომ მიერეკებოდა საბალახოდ, მდინარე „ცივს“ გვერდით გაუვლიდა. მდინარესთან ამოჩუხჩუხებდა მარილიანი წყალი. საქონელი მარილიან წყალს ეტანებოდა. ძროხა და ხარი მარილიან წყლის გუბეში ჩაწვებოდნენ და აღარ ამოდიოდნენ. მეტი გზა არ იყო, მწყემსს გუბეში ფეხი უნდა ჩაედგა, რომ საქონელი გაერეკა და, ყოველთვის გრძნობდა ბიჭუნა: გუბეში ფეხს რომ ჩაჰყოფდა, ტკივილი უამდებოდა. ბოლოს, ფეხი მოურჩა. გახარებულმა ბიჭუნამ ლოგინად ჩავარდნილ თავის მამას უთხრა:

— მამიკო, იმ გუბეში ჩაწექი, იქნებ გეშველოს რამე! იმ ბიჭის მამას სახსრები სტკიოდა. ძლივს მივიდა გუბესთან და შიგ ჩაწვა. მალე კარგად იგრძნო თავი.

ბიჭუნას მამამ ახლა თავის ავადმყოფ ნაცნობს უთხრა:

— შე კაცო, ჩაწექი იმ გუბეში, ხომ ხედავ, როგორ მომარჩინა!

— მუხლების ტკივილს არაფერი ეშველება,—უიმედოდ ჩაილაპარაკა მეზობელმა, გუბისაკენ კი მაინც გაემართა. გავიდა ცოტაოდენი ხანი და ისიც კარგად შეიქნა. მერე, იმ სოფელში ვინც კი დაავადებული იყო ქარებით, ყველა გუბისაკენ მიეშურებოდა. აი, შვილო, ვინ აღმოაჩინა მენჯის წყალი.

ახლა იქ ლამაზი შენობებია აგებული. მოსკოვიდან, ლენინგრადიდან და სხვა ქალაქებიდან ჩამოდიან მენჯში სამკურნალოდ. ჩვენს სანატორიუმში მოიყვანეს ლენინგრადელი მასწავლებელი, ფეხის განძრევა არ შეეძლო, ორ კვირაში ისე გამოკეთდა, რომ თავისუფლად არბოდა მთაზე და ჩამორბოდა.“ დაასრულა ამბავი ნოდარის მამამ.

ედიშერ ყიფიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზაფხულის ზღაპარი

ძველად, სულ ძველად, დედამიწაზე მუდმივი ზამთარი იყო და ყველაფერი თოვლით იყო დაფარული. ღრუბლებიდან მთებამდე ყინულის უზარმაზარი ლოლუები ეკიდა. მინდვრებში მხოლოდ უფერული ყვავილები იზრდებოდნენ, უსიცოცხლონი იყვნენ და სურნელება არ გააჩნდათ. ჩიტებიც ცხოვრობდნენ მაშინ, მაგრამ ფრთები არ ჰქონდათ და მიწაზეც ძლივს დადიოდნენ.

არავინ იცოდა რა იყო გაზაფხული.

ულმობელ ზამთარს ერთი პატარა გოგონა ჰყავდა დატყვევებული. გოგონაც სხვა ყვავილებივით მიწიდან ამოსულიყო და როდესაც დღის სინათლე დაენახა, სიხარულისაგან ენა ამოედგა. განრისხებულ ზამთარს მისი ხელები და ნაწნავები ერთ ვებერთელა ყინულზე მიეყინა და არ უშვებდა.

სხვა ყვავილებისაგან მოშორებულ და მუდმივად მარტო მყოფ გოგონას დანარჩენმა ყვავილებმა მარტო შეარქვეს.

თეთრ ყვავილებს მარტო ეცოდებოდათ, მაგრამ შიშისაგან ხმას ვერ იღებდნენ, — ჩვენც არ მიგვაყინოს ზამთარმაო; მხოლოდ, ხანდახან ოდნავ ჩურჩულით რაიმე სანუგეშო სიტყვებს გაატანდნენ ქარს და ნიავს და მარტოს გულს უმაგრებდნენ.

ცაზე, შავი ღრუბლების გვერდით იყო ერთი ცისფერი ღრუბელი. ეს ღრუბელი მარტოს ცრემლებიდან იყო გაჩენილი.

დიდხანს ფიქრობდა ცისფერი ღრუბელი როგორმე დახმარებოდა მარტოს, და ერთ დღეს გადასწყვიტა წასულიყო მზესთან.

მზე მაშინ ძლიერ შორს იყო დედამიწისაგან, მისი სხივები ძლივს აღწევდნენ იქამდე.

იარა, იარა ცისფერმა ღრუბელმა და ბოლოს მიაღწია მზემდე, შორიახლოს შეჩერდა, რომ არ დამწვარიყო მზის სხივებისაგან და შეევედრა:

— მზეო, გულთბილო მზეო, პატარა მარტო ზამთარს ჰყავს დატყვევებული და გემუდარები · დაიხსენი.

— შენ ვინა ხარ? — შეეკითხა მზე.

— მე მისი ცრემლები ვარ, — ამოიოხრა ცისფერმა ღრუბელმა.

— აბა, გამიძეღ წინ, მე ვუჩვენებ იმ ბებრუცუნა ზამთარს, როგორ უნდა ბავშვის წამება!

ცისფერი ღრუბელი სიხარულით დაეშვა დედამიწისაკენ, უკან მზე მიჰყვებოდა.

შავი ღრუბლები, როგორც კი მზის მოახლოება იგრძნეს, აქეთიქით დაიფანტნენ და დედამიწას გაეცალნენ.

მზემ ჩამოხედა დედამიწას, ის დიდი ყინული მოსძებნა, რომელზედაც პატარა მარტო იყო მიჯაჭვული და სხივები მიანათა. მზის სიკაშკაშემ ზამთარს თვალები აუბრჭყვიალა და ერთი წუთით დააბნია, მაგრამ ზამთარმა, მოუხმო შავ ღრუბლებს, მზის სხივებს გზა გადაუჭრა და პატარა მარტოს უკვე განთავისუფლებული ხელები ისევ მიაყინა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მზე გააბრაზა ზამთრის თავხედობამ, უფრო ძლიერ აკაშკაშდა, მესამე თვალიც გამოიბა; მხურვალე სხივებით შეებრძოლა შავ ღრუბლებს.

მზე და ზამთარი თითქმის ერთ თვეს ებრძოდნენ ერთმანეთს. ამ ბრძოლაში მზემ ბოლოს მეცხრე თვალიც გამოიბა და მხოლოდ მაშინ დაამარცხა ზამთარი.

განთავისუფლებული პატარა მარტო სიხარულის ცრემლებს ღვრიდა და მზეს მადლობას უთვლიდა. მარტოს ცრემლებში ცისარტყელებად გაბნეული მზის სხივები ზეიმის ნიშნად უფერულმა ყვავილებმა დაირიგეს: იამ იისფერი წაიღო, ენძელამ მკრთალი მტრედისფერი. ჩიტუნებს სიხარულისაგან სწორედ ამ დღეს შეესხათ ფრთები.

ცისფერი ღრუბელი კი გაიზარდა, გაფართოვდა და ცას გადაეკრა; მას შემდეგ ცა ამ ფერს ატარებს.

მზეს ისე მოეწონა პატარა მარტო, რომ გადასწყვიტა შორს აღარ წასულიყო; ყოველი ერთი წლის შემდეგ მზე ისევ უახლოვდება დედამიწას და ბებრუხანა ჯიუტ ზამთარს ერთი თვის ბრძოლის შემდეგ ისევ ამარცხებს.

მას შემდეგ ამ თვეს, პატარა გოგონას პატივსაცემად, ხალხმა მარტი უწოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩინური ხალხური ზღაპრები

ნახატები **ი. გაბაშვილისა**

ბეჯითი იუნ სუ

ოდესღაც ცხოვრობდა პატარა ბიჭი, რომელსაც სახელად იუნ სუ ერქვა. მას მამა ადრე გარდაეცვალა. ოჯახში დარჩნენ იუნ სუ და დედა მისი. ისინი ძალიან ღარიბულად ცხოვრობდნენ. იმათ ოჯახში ზოგჯერ ერთი პეშვი ბრინჯიც კი არ მოიძებნებოდა.

იუნ სუ წამოიზარდა და მისი სწავლის დრო დადგა. მაგრამ მას არ გააჩნდა არც საწერი ქაღალდი, არც მელანი და არც ფუნჯი ასოების სახატავად. ერთხელ იუნ სუმ მტკიცედ გადასწყვიტა: „მე უნდა ვისწავლოო!“ და დაიწყო იმაზე ფიქრი, თუ როგორ დააღწიოს-თავი სიღარიბეს. იგი მივიდა ერთ მდიდარ მეზობელთან და უთხრა:

— გავიგე, რომ მოჯამაგირეს ეძებთ, ამიყვანეთ. მართალია მცირეწლოვანი ვარ, მაგრამ სამაგიეროდ გასამრჯელოს ბევრს არ მოგთხოვთ. მხოლოდ ნება დამრთეთ, რომ ზოგჯერ მაინც ვნახო, თუ როგორ სწავლობენ თქვენი შვილები, რითაც კმაყოფილი ვიქნები.

მდიდარს უფასო მოჯამაგირის შოვნა გაეხარდა და რა თქმა უნდა დათანხმდა.

იუნ სუ დილიდან საღამომდე შრომობდა მდიდრის ოჯახში. ყველა მძიმე სამუშაო მას აწვა კისერზე, მაგრამ, სამაგიეროდ, იუნ სუს ხანდახან შეეძლო ჩაეხედა მდიდრის შვილების წიგნებში. ზოგჯერ კი იუნ სუს მთელი გაკვეთილის მოსმენის საშუალებაც კი ეძლეოდა. მასწავლებლის მისვლის დროს იგი კუთხეში იმალებოდა და ყურს უგდებდა. ასე სწავლობდა იგი. ერთი წლის შემდეგ მას უკვე შეეძლო სიტყვების გარჩევა, მაგრამ, აი ახალი უბედურება: რაზედ სწეროს იუნ სუმ? იფიქრა, იფიქრა იუნ სუმ და გადასწყვიტა:

იუნ სუ და დედამისი ცხოვრობდნენ ზღვის პირას, ერთ პატარა ქოხში. ნაპირზედ მოვარდნილი ტალღები მთელი დღის განმავლობაში ასწორებდნენ ზღვის წვრილ ქვიშას და აი, იუნ სუმ, აიღო გრძელი ჯოხი და წავიდა ზღვის პირას. მან სწრაფად დახატა ქვიშაზე სიტყვა. მოვარდნილმა ტალღამ გადარეცხა იგი. იუნ სუმ ისევე დახატა, მეორე ტალღამ კვლავ გადარეცხა სიტყვა. ამრიგად ბიჭუნას შეეძლო დაუს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულებლად ეწერა უფუნჯოდ და უქალალდოდ. მაგრამ იუნ სუს დასჭირდა წიგნები. ერთხელ მან უთხრა მდიდარს:

— აქამდე მე თქვენთან უფასოდ ვმუშაობდი, ახლა კი მინდა მოგთხოვოთ გასამრჯელო. მხოლოდ, თუ თქვენ ნებას დამრთავთ ვიკითხო თქვენი წიგნები,—მე თანახმა ვარ კიდევ ერთ წელს უსასყიდლოდ გემსახუროთო.

მდიდარს დაენანა ასეთი ხელსაყრელი მოჯამაგირის ხელიდან გაშვება და დასთანხმდა.

მოახლოვდა ზამთარი. დღეები პატარავდებოდნენ იუნ სუს დაბინდებამდე უხდებოდა შრომა და დღე მას უკვე სამუშაოდ აღარ ჰყოფნიდა. იუნ სუ იმდენად ღარიბი იყო, რომ საშუალება არ ჰქონდა სანათურისათვის ზეთი ეყიდნა, იგი წერდა და კითხულობდა მთვარის შუქზე. უმთვარო ღამეში ციცინათელებს იჭერდა, აწებებდა ლერწმის ფირფიტაზე და ციცინათელების მკრთალ შუქზე წიგნებს კითხულობდა.

გავიდა მრავალი წელი. იუნ სუმ თავის მიზანს მიაღწია. იგი გახდა უდიდესი მეცნიერი. დღემდე იგონებს ხალხი პატარა, ღარიბი იუნ სუს სიბეჯითესა და მუყაითობას.

როგორ ავწონოთ სპილო

ჩინეთში, დიდი, ძალიან დიდი ხნის წინათ ცხოვრობდა უძლეველი სარდალი, რომელსაც სახელად ტიაო ცზიანი ერქვა.

დიდი ლაშქარი ემორჩილებოდა მისი ხელის უბრალო მოძრაობასაც კი.

ერთხელ, ტიაო ცზიანს ვეებერთელა სპილო აჩუქეს. იმ ხანებში ეს ცხოველი იშვიათი იყო. მისი ნახვით ყველა გაოცებული დარჩა. თვით ტიაო ცზიანი ამ გოლიათის სიდიდემ გააკვირვა:

— ნეტავ რამდენს უნდა იწონიდეს ეს უზარმაზარი სპილო?

მან მოიხმო თავისი კარის ყველა წარჩინებული ბრძენი და მრჩეველი და მიმართა:

— ხომ ხედავთ, გასაჭირში ვარ, თქვენი რჩევა მესაჭიროება,—როგორ ავწონოთ სპილო?

ბრძენებმა ეჭვის თვალით გადახედეს ერთმანეთს. დაიწყეს ფიქრი. დილიდან საღამომდე ფიქრობდნენ. ფიქრით დაიღალნენ და ტიაო ცზიანს ვადის გაგრძელება სთხოვეს. ისინი თავთავიანთ სახლებში გაეშურნენ და მთელი ღამე ფიქრობდნენ. დილით ადრე კი სასახლეში დაბრუნდნენ.

— რა ჰქენით, მოიფიქრეთ?—შეეკითხა ტიაო ცზიანი.

— მოვიფიქრეთ!—ერთხმად უპასუხეს ბრძენებმა. შემდეგ ყველაზე უფრო წარმოსადეგი ბრძენი ტიაო ცზიანის წინაშე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წარსდგა, გაშალა დიდი წიგნი და დაიწყო კითხვა. ტიაო ცზიანი თვალდახუჭული უსმენდა.

— მთელს ჩინეთში არ მოიპოვება ისეთი დიდი სასწორი, რომ მასზედ შეიძლებოდეს სპილოს აწონა.

ბრძენი დაჯერებულად კითხულობდა და ტიაო ცზიანიც თანხმობის ნიშნად თავს უქნევდა.

— ამიტომაც, — განაგრძობდა ბრძენი,—ბრძენთა საბჭომ ასე გადასწყვიტა: სპილოს აწონისათვის საჭიროა მისი დაჩეხვა ას ნაჭრად და თითოეული ნაჭრის ცალკე აწონა. შემდეგ კი ყველა ნაჭრის წონის შეკრება.

ტიაო ცზიანმა თვალები დააბრიალა და მრისხანედ დაიყვირა:

— ნუთუ ამაზედ უფრო სულელური ვერაფერი მოიგონა ბრძენთა საბჭომ. ნუთუ მთელს ჩინეთში არ მოიპოვება ისეთი ადამიანი, რომელიც შესძლებს სპილოს აწონას?

— მე ვიცი, როგორ უნდა აიწონოს სპილო!—მოისმა უცბათ ვიღაცის წვრილი ხმა. ეს იყო მებაღის პატარა ვაჟიშვილი დინ ლი, რომელმაც სასახლეში ხილი მოიტანა. მისმა კვეხნამ ყველა გააოცა.

— კი, მაგრამ, როგორ შესძლებ ამას? — ჰკითხა ტიაო ცზიანმა.

— სულ უბრალოდ!—უპასუხა ბავშვმა—ჩააყენეთ სპილო დიდ ნავში და აღნიშნეთ რამდენად ჩაეშვება ნავი წყალში. შემდეგ სპილო ნაპირზედ გადმოიყვანეთ, ნავში კი ჩაყარეთ იმდენი ქვა, რომ ნავი იმავე სიღრმეზე ჩაეშვას წყალში. შემდეგ თითოეული ქვა ასწონეთ ცალ-ცალკე და მიღებული წონა შეაჯამეთ. ამრიგად თქვენ გაიგებთ სპილოს წონას!

— საკვირველია, შესანიშნავია! — შესძახა ტიაო ცზიანმა.

ამაყი ბრძენები და მრჩევლები შერცხვენილნი წავიდნენ.

ასე აჯობა უბრალო მებაღის შვილმა, დინ ლიმ სასახლის კარის ბრძენებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასართობი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცანები

ნახატები ვ. მანჯავიძისა

1. ბოსტნეულის მტერი არის
კუდმოკლე და გრძელყურება,
სამ ტუჩს ერთად აცმაცუნებს,
აქეთ-იქეთ იყურება.

შედგენილი **დ. ძეძამიძის** მიერ

2. ყოველ გაზაფხულს გეწვევით,
მოვფრინავ როგორც შურდული,
დავჩეკავ, დავზრდი შვილებსა
და თქვენც დაგატკბობთ
ჟღურტულით.

შედგენილი **ზ. მაყაშვილის** მიერ

ხაღხური გამოცანა

ტანად მსგავსი ვარ ალვისა,
თვალად კი — ხაჭაპურისა.
ყელმოღერებულ ჯეირანს
ფერი მაქვს მოლაღურისა.
დილით მზეს ვეთაყვანები,
საღამოს — კვალად მზესაო.
რა მცენარე ვარ, ბალღებო,
მიცანით თქვენსა მზესაო.

ჩაწერა **ა. ახალშენიშვილმა**

ამოცანა

ყვავი კაკლის ხის ზევითა ტოტზე შემოჯდა და ერთ კაკალს ჩაუნისკარტა. კაკალი გაუვარდა. იმ ტოტის ქვეშ ერთი მეორის მიყოლებით კიდევ სამი ტოტი იყო. ჩამოვარდნილმა კაკალმა მეორე ტოტიდან ერთი კაკალი ჩამოაგდო.

ყოველი ჩამოვარდნილი კაკალი მის ქვემოთ მომდევნო ტოტიდან კიდევ თითო კაკალს აგდებდა.

სულ რამდენი კაკალი დაეცემოდა მიწაზე?

შედგენილი **დ. ძეძამიძის** მიერ

ყდაზე: „გაზაფხული საბავშვო ბაღში“. ნახატი **ალ. გიგოლაშვილისა**

პასუხისმგებელი რედაქტორი **რ. მარგიანი**

სარედაქციო კოლეგია: **გრ. აბაშიძე, ე.კ. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი, შ. ცხადაძე, თ. თუმანიშვილი, მაყვ. მრევლიშვილი, ი. სიხარულიძე, ნ. უნაფქოშვილი.**

გამომცემლობა „კომუნისტი“. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. 1 სართ. ტელ 3-81-85

გამომცემლობის შეკვ. № 25 სტამბის შეკვ. 234/646 ტირაჟი 7000 უე 01456 ფასი 5 მან.

ტექსტი აწყობილია ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“ სტამბაში. ჟურნალი დაბეჭდილია ოფსეტის სისტემის მანქანაზე. „ზარია ვოსტოკას“ სტამბაში. თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 42